სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

09 დეკემბერი 2025

N 759/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის და თბილისის მუნიციპალიტეტებში შპს „ალმოჯი“-ს 35 კვ ძაბვის და დაახლოებით 7 კმ სიგრძის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ალმოჯი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა დაგეგმილია გარდაბნის და თბილისის მუნიციპალიტეტებში და მისი სიგრძე დაახლოებით 7 კმ-ს შეადგენს (საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატები: X-489,636.428 Y-4,606,170.990; X-483,423.113 Y-4,608,923.334). საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი სოფელ თელეთში, შპს „ალმოჯი“-ს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ფართობი: 424 მ^2; GPS კოორდინატები: X-489,642.841 Y-4,606,181.935; X-489,627.857 Y-4,606,159.700; X-489,639.941 Y-4,606,150.851; X-489,656.338 Y-4,606,172.826) მოსაწყობი 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობიდან (ქვესადგური) დაიწყება და ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში (ს/კ: 01.81.02.335.002) სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ბალანსზე რიცხულ „თელეთი 220“-ის ქვესადგურს დაუერთდება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან (ქვესადგური) უახლოესი საცხოვრებელი უბნები დაახლოებით 660 მეტრით არის დაშორებული. საპროექტო ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს ზედაპირული წყლის ობიექტები არ ფიქსირდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე სამშენებლო ბანაკის, ახალი მისასვლელი გზების, ბეტონის კვანძის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის, ხოლო საჭირო სამშენებლო მასალა სამშენებლო მოედანზე მზა სახით შევა. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გასაყვანად მომზადდება 1,2 მეტრი სიღრმის ტრანშეა, სადაც შესაბამისი კაბელი განთავსდება. სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და ექსკავირებული გრუნტი ცალ-ცალკე დასაწყობდება. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით მოხდება, ხოლო ექსკავირებული გრუნტი უკუყრისთვის იქნება გამოყენებული. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა 1 თვეს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის და ხმაურის გავრცელების სტაციონარული წყაროების განთავსება გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაურის გავრცელება სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან და მიწის სამუშაოებთან იქნება დაკავშირებული. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოების განხორციელებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კვლევის ეტაპზე გაყვანილ ჭაბურღილებში, 5 მეტრ სიღრმემდე, გრუნტის წყლები არ გამოვლენილა. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისთვის შერჩეული ტერიტორია გრავიტაციულ წონასწორობაშია (სტაბილურია) და რელიეფში გამოხატული გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენები შესაბამის კონტეინერებში შეგროვდება და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე იქნება გატანილი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია და მასზე ბუნებრივი ჰაბიტატები პრაქტიკულად არ გვხვდება. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გრუნტის გზას მიუყვება, რომელსაც ორივე მხრიდან სახნავ-სათესი მიწები და ბოსტნები (ჰაბიტატი I1) ესაზღვრება, ხოლო უშუალოდ გზა, მთლიან მონაკვეთზე, ხრიოკ ადგილს (ჰაბიტატი H5.6) წარმოადგენს. გზის პირებზე, ალაგ-ალაგ, გვხვდება თუთა (*Morus sp.*), ლეღვი (*Ficus carica*), ასკილი (*Rosa canina*) და მაყვალი (*Rubus sp.*). საპროექტო დერეფანში ძირითადად წარმოდგენილია ბალახოვანი საფარი, ხოლო ფაუნის სახეობების საბინადრო ადგილები (სოროები, ბუდეები) არ ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე დიდი მტაცებლების და ლეშიჭამია ფრინველებისთვის ხელსაყრელი საკვები არეალები გვხვდება, თუმცა, ჩატარებული კვლევებით არცერთი დაცული სახეობის, მათ შორის, ლეშიჭამია ფრინველის ბუდე არ დაფიქსირებულა. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ტექნიკური გადაწყვეტის (მიწისქვეშა), მისი გაყვანისთვის საჭირო სამუშაოების მასშტაბის და პროექტით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია მსგავსი ტიპის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. კერძოდ, შპს „ალტო“ თითქმის იმავე საპროექტო დერეფანში გეგმავს მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას, რომელიც ასევე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ბალანსზე რიცხულ „თელეთი 220“-ის ქვესადგურს დაუერთდება. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზების მიწისქვეშა კაბელები ერთსა და იმავე ტრანშეაში განთავსდება, რაც ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისთვის საჭირო სამუშაოების მოცულობას და მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელ ზემოქმედებას შეამცირებს.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნისა და თბილისის მუნიციპალიტეტების მერიებში, საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მახასიათებლების, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ტექნიკური გადაწყვეტის (მიწისქვეშა) და მისი გაყვანისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ასევე პროექტით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის და თბილისის მუნიციპალიტეტებში შპს „ალმოჯი“-ს 35 კვ ძაბვის და დაახლოებით 7 კმ სიგრძის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა **არ დაექვემდებაროს** გზშ-ს;
2. შპს „ალმოჯი“ ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ალმოჯი“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ალმოჯი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/759-21-4-202512091542